თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და

სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის

ერთი მხრივ, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნოდარ ხადურის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - გიორგი ალიბეგაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი).

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა, კონკურენციის კანონმდებლობაში და კონკურენციის პოლიტიკის წარმართვის პროცესში სახელმწიფო ენის პრინციპების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგ საკითხებზე:

ა) კონკურენციის კანონმდებლობაში სახელმწიფო ენის ნორმების დამკვიდრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) კონკურენციის პოლიტიკის წარმართვის პროცესში სააგენტოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში სახელმწიფო ენის ნორმების გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა;

გ) დეპარტამენტის მიერ სააგენტოსათვის კონსულტაციების გაწევა და რეკომენდაციების შემუშავება, სახელმწიფო ენის ნორმების გამოყენებისა და დაცვის მიზნით;

დ) ქართულ ენაში კონკურენციის სფეროს მიკუთვნებული ტერმინების სწორად ასახვისა და დამკვიდრების მიზნით ერთობლივი ღონისძიებების გატარება;

ე) მხარეთა ექსპერტებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე;

ვ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

ზ) ურთიერთთანამშრომლობით შექმნილი საინფორმაციო პროდუქციის ერთობლივად გამოცემა;

თ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმატი

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას.

2. ინფორმაციის გაცვლა მოხდება წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

3. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. ძალაში შესვლა და ხანგრძლივობა

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

2. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტამდე სულ მცირე სამი თვით ადრე.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, ერთობლივი წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

2. მემორანდუმში ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

3. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტა

1. მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2018 წლის 24 მაისს, თბილისში, ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სახელით	**სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელით**
ნოდარ ხადური	**გიორგი ალიბეგაშვილი**
თავმჯდომარე	**თავმჯდომარე**